სატენდერო პირობები

ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლები

FSM-2025-02-06

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს შესაბამისად ავტორიზებულ და/ან ლიცენზირებულ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებს (ISP) ხარისხიანი ინტერნეტის მიწოდების მიზნით საქართველოს შემდეგ რეგიონებში: გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი.

მოთხოვნილი მომსახურება: ხარისხიანი ინტერნეტისა და მონტაჟის მომსახურების მიწოდება ხელმისაწვდომი Wi-Fi (ინტერნეტ) საჯარო ზონების მოსაწყობად საქართველოს შემდეგი რეგიონების 224 სოფლის (სიის სანახავად დააჭირეთ აქ) ნაწილში: გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, დამკვეთის შეკვეთების/მოთხოვნების საფუძველზე, ხელშეკრულების პირობების დაცვით, რომელიც გაფორმდება ტენდერის ყველაზე უპირატეს მონაწილესთან.

სოფლების სრული ნუსხისა და Wi-Fi ზონების შესაბამისი დეტალების ნახვა შესაძლებელია აქ. განმცხადებელს შეუძლია აირჩიოს 1 ან მეტი რეგიონი მოთხოვნილი მომსახურების უზრუნველსაყოფად. მხოლოდ იმერეთის შემთხვევაში, განმცხადებელს უფლება აქვს, მთელ რეგიონში მოთხოვნილი მომსახურების მიწოდების გარეშე შეარჩიოს გარკვეული მუნიციპალიტეტები.

განაცხადი: სოფლების ჩამონათვალი, ზუსტი რაოდენობა და Wi-Fi წერტილების ადგილმდებარეობები დამატებით იქნება განსაზღვრული ტენდერის ყველაზე უპირატეს მონაწილე(ებ)თან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. დამკვეთი აპირებს დაახ. 185 სოფლის შერჩევას.

ინტერნეტზე წვდომის ფლაგმანი: სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI) არის ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი, რომელსაც ახორციელებს „სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში“ (SFPL in GEO) 2023 წლის 1 დეკემბერიდან, ჩვენს პარტნიორთან ესტონეთიდან - ელექტრონული მმართველობის აკადემიასთან (eGA) ერთად. REDI მიზნად ისახავს შეამციროს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის ციფრული განვითარების კუთხით არსებული უთანასწორობა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და ციფრული წიგნიერების ამაღლების გზით. ინიციატივის სამიზნე კონკრეტული რეგიონებია - გურია, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, იმერეთი (და, შესაძლოა, კახეთი - არ წარმოადგენს ამ სატენდერო პირობების საგანს), სადაც საჯარო სივრცეებში განთავსდება ინტერნეტთან წვდომის წერტილები და შეიქმნება ციფრული სასოფლო ჰაბები მოსახლეობის ციფრული უნარების განვითარებისთვის.

რაც შეეხება **ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებას,** პროექტის ორი ძირითადი მიმართულებიდან პირველს, ის განხორციელდება, როგორც Open Net პროგრამის პროექტ Log-in Georgia-ს შემდგომი ეტაპი და ყურადღებას გაამახვილებს სამიზნე რეგიონების ≈250 შერჩეული სოფლის მცხოვრებთათვის ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფაზე. ინიციატივის მეორე მიმართულება მიზნად ისახავს **ციფრული წიგნიერების ხელშეწყობას** შერჩეული სამიზნე რეგიონების სოფლის მაცხოვრებლებში.

1. დავალების შესრულების ადგილ(ებ)ი

გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი

2. დავალების ხანგრძლივობა:

მოთხოვნის საფუძველზე, 2025 წლის განმავლობაში მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები:

შეთავაზებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, ფორმალურ საფუძველზე გამოეთიშება ტენდერს.

3.1 ინტერნეტ კავშირის მომსახურება მიწოდებული უნდა იყოს შემდეგი პარამეტრების შესაბამისად:

- გლობალური და ლოკალური კავშირი ინტერნეტთან: 5 Mbps, 10 Mbps და 20Mbps[1]
- სიმეტრიული არხი – ატვირთვა = ჩამოტვირთვა
- მომსახურების ხელმისაწვდომობა: მომსახურება უნდა იყოს მოქმედი და ხელმისაწვდომი დროის 99.5%
- მაქსიმალური დაყოვნება: 100 ms-ზე ნაკლები
- პაკეტის დაყოვნება (Jitter) არ უნდა აღემატებოდეს 40ms-ს
- პაკეტის დანაკარგი: 2%-ზე ნაკლები
- რეალური IP მისამართი: 1
- ინტერნეტ არხს უნდა შეეძლოს გაატაროს ტრაფიკი Wi-Fi მოწყობილობაზე შიდა დისტანციური მართვისთვის
- ინტერნეტ არხს უნდა შეეძლოს 100 Mbps-მდე ნებისმიერი გამტარუნარიანობის განახლება (გლობალური)

3.2 სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში-ს მიერ მოწოდებული აღჭურვილობითა და მასალებით მუშაობის მოქნილობა (აღჭურვილობის სპეციფიკაციების ნახვა შეგიძლიათ აქ). მიწოდებული აღჭურვილობა და მასალები (მაგ. კაბელები, რეკ კარადები და ა.შ.) დარჩება დამკვეთის საკუთრებაში.

3.3 მოთხოვნილი მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა Open Net ოპტიკური ქსელის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია, ან დამკვეთისთვის კავშირის ალტერნატიული ტექნოლოგიების შეთავაზების შესაძლებლობა, სადაც Open Net ინფრასტრუქტურა მიუწვდომელია ან შეთავაზებული მონტაჟის გაზრდილი ხარჯებიდან გამომდინარე Open Net ტექნოლოგიის გამოყენება დამკვეთისათვის შეუძლებელია მოცემულ სოფელში.

3.4 მონტაჟის ხარჯი უნდა მოიცავდეს ყველა მასალას (დამკვეთის მიერ მოწოდებულის გარდა), სამუშაოებს (მოსამზადებელი სამუშაოების და ინსტალაციის შემდგომი მონიტორინგის ჩათვლით), ნებართვებს (ყველა შესაბამისი ნებართვა უნდა მოიპოვოს ტენდერში მონაწილემ),

[1] პაკეტების შეძენა პირველადი შესყიდვის ნაწილი იქნება იმ პირობით, რომ დამკვეთს ექნება შესაძლებლობა შეცვალოს ისინი თავისი საჭიროებიდან გამომდინარე.

ელექტროენერგიის წყაროსთან კავშირს და ა.შ. ასევე, Open Net/Energo-Pro და სხვა ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

3.5 რეკი უნდა დამონტაჟდეს შენობაში ან გარეთ, თუ REDI Wi-Fi კავშირის წერტილი არ არის შენობაში წარმოდგენილი.

3.6 განმცხადებელი უნდა იყოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ავტორიზებული.

4. შეფასების კრიტერიუმები ყველაზე უპირატესი ტენდერის შესარჩევად (მაქს. 120 ქულა)

4.1 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ავტორიზაციის ხანგძლივობა წლებში (მაქს. 10 ქულა)

- ავტორიზებული 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში – 10 ქულა
- ავტორიზებული 1-დან 3 წლამდე – 5 ქულა
- ავტორიზებული 1 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში – 2 ქულა

4.2 გამოყოფილი ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი/პირი (მაქს. 10 ქულა)

- გამოყოფილი ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის/პირის უზრუნველყოფის შესაძლებლობა – 10 ქულა

4.3 ტექნიკური მხარდაჭერის პაკეტი (მაქს. 20 ქულა)

გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ ტექნიკური მხარდაჭერის შემოთავაზებული პაკეტი და წარმოადგინოთ ინფორმაცია ტექნიკურ საკითხებზე რეაგირების დროის, პრობლემის გადაწყვეტის ვადებისა და სხვა მომსახურების შესახებ, რომელსაც მოიცავს შემოთავაზებული ტექნიკური მხარდაჭერა. საუკეთესო ტექნიკური მხარდაჭერის პაკეტი შეფასდება პრობლემაზე რეაგირების და/ან გადაწყვეტისათვის შეთავაზებული მინიმალური დროის, აგრეთვე, მხარდაჭერის პაკეტში შეტანილი მომსახურების მრავალფეროვნების და შემოთავაზებული მომსახურების ზუსტი (დეტალური) აღწერის მიხედვით.

4.4 მომსახურების ღირებულება (მაქს. 20 ქულა)

განმცხადებელმა დეტალურად უნდა წარმოადგინოს შემდეგი ხარჯები:

- მონტაჟის ხარჯები (უნდა მოიცავდეს ნებისმიერ მასალას (გარდა დამკვეთის მიერ მოწოდებულისა) სამუშაოს, ნებართვას (ყველა შესაბამისი ნებართვა უნდა მოიპოვოს ტენდერში მონაწილემ), ელექტროენერგიის წყაროს და ა.შ. ასევე Opent Net-ის, Energo-Pro-ს და სხვა ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს თითო სოფელზე;
- სააბონენტო ხარჯები (მათ შორის ტექნიკური მომსახურების (maintenance)) 5 Mbps, 10 Mbps და 20Mbps-ის შემთხვევაში;
- ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები.

აქ შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ფაილი, რომლის ფორმატითაც უნდა იყოს წარმოდგენილი დეტალური ხარჯთაღრიცხვა.

„ღირებულების“ კრიტერიუმით შეფასება დაეფუძნება შემდეგ ფორმულას:

P= (Pmin/Pof x 20 ქულა)/3 (პაკეტების რაოდენობა)

სადაც:

Pmin - ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასი

Pof – ფასი წარმოდგენილი შემოწმებულ შეთავაზებაში

P – ფასის კრიტერიუმით შემოწმებულ შეთავაზებაზე მინიჭებული ქულების რაოდენობა, დამრგვალებული სრულ რიცხვამდე.

<u>ყველა ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს GROSS სახით ლარში, დღგ-ის გარეშე</u>

4.5 კომპეტენციის დავალება (მაქსიმუმ 40 ქულა)

გთხოვთ მოგვაწოდოთ სამუშაოების დეტალური აღწერა თქვენს მიერ შერჩეულ 2 სოფელში ხელმისაწვდომი Wi-Fi ზონების დასაკავშირებლად (სოფლების სრული სია და Wi-Fi ზონების შესაბამისი დეტალები იხილეთ აქ).

შევსებული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შესაბამის ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებლის ინტერნეტ ქსელის შესახებ, მათ შორის, ძირითადი და სარეზერვო არხები, ამოცანები, ვადები, გამოყენებული როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსი, ჩართულობის საჭიროება (Energo-Pro, Open Net, ნებისმიერი სხვა), მინიმალური მოთხოვნებით განსაზღვრული ხარჯები, Wi-Fi ქსელის მონიტორინგისა და დისტანციური მართვის სისტემის დეტალური სპეციფიკაციები, აღჭურვილობის უსაფრთხოების გეგმა და ნებისმიერი სხვა შესაბამისი საკითხი. შეიძლება სიტყვიერი განმარტების, ნახაზისა და/ან აღწერის ნებისმიერი სხვა შესაბამისი ფორმის გამოყენება, რომელიც ხელმოწერილ დანართად დაემატება განაცხადის ფორმას.

დავალებას შეაფასებს შესყიდვების კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტდება, მათ შორის, ტექნიკური ექსპერტ(ებ)ისგან.

4.6 გასაუბრება (მაქს. 20 ქულა) – განაცხადის ფორმაში მოცემული ინფორმაციის გადამოწმება.

**გასაუბრების პროცესში მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ შერჩეული განმცხადებლები.*

5. დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

6. განაცხადი უნდა მოიცავდეს:

- ხელმოწერილ და სკანირებულ ფისკალურ განაცხადს PDF ფორმატში. ნიმუშის ჩამოსატვირთად დააწკაპუნეთ აქ.
- ხელმოწერილ და სკანირებულ განაცხადის ფორმას PDF ფორმატში. ნიმუშის ჩამოსატვირთად დააწკაპუნეთ აქ.
- ფასის შეთავაზებას შერჩეული სოფლებისთვის. ნიმუშის ჩამოსატვირთად დააწკაპუნეთ აქ.

7. განაცხადის წარდგენა

განაცხადი უნდა გამოიგზავნოს არაუგვიანეს 2025 წლის 30 აპრილს 23:59 საათამდე, თბილისის დროით შემდეგ მისამართზე: redi@solidarityfund.pl

მომსახურების მოთხოვნასთან დაკავშირებული კითხვები შეგიძლიათ მოგვწეროთ მისამართზე redi@solidarityfund.pl ვადის ამოწურვამდე.

8. კითხვა-პასუხის სესია

ონლაინ კითხვა-პასუხის სესიის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება „სოლიდარობის ფონდ პლ საქართველოს“ Facebook გვერდზე.

შემდგომში ასევე გამოქვეყნდება კითხვა-პასუხის სესიის შედეგები.

9. დამკვეთი არ მიიღებს სატენდერო ვადის ამოწურვის შემდეგ გაგზავნილ ნებისმიერ დოკუმენტაციას/კითხვას.

10. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება საიტზე - https://participatoryhub.ge/

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის წარდგენით თანხმობას აცხადებთ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება), რომელთაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL -ში.

11. შერჩეულ კონტრაქტორთან/კონტრაქტორებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

12. კონტრაქტორ(ებ)ს, რომლის ტენდერიც მიიჩნევა ყველაზე უპირატესად, დამკვეთი აცნობებს ხელშეკრულების გაფორმების ადგილისა და თარიღის შესახებ.

13. ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთს მიაწოდოს ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო ყველა ინფორმაცია.

14. თუ ეკონომიკური ოპერატორ(ებ)ი, რომლის სატენდერო წინადადება მიჩნეულ იქნა ყველაზე უპირატესად, თავს აარიდებს ხელშეკრულების დადებას, დამკვეთს შეუძლია ხელახლა განიხილოს და შეაფასოს ტენდერის შედეგები დანარჩენი ეკონომიკური ოპერატორების შემოთავაზებებიდან ან გააუქმოს პროცედურა.

15. ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელმა პირებმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინონ ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ ასეთი უფლებამოსილება არ დასტურდება ტენდერის თანდართული დოკუმენტებიდან.

16. კონტრაქტის გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაცია ხელშეკრულების შინაარსის შესავსებად დამკვეთის მოთხოვნით.

ტენდერების განხილვისა და შეფასებისას, დამკვეთს შეუძლია მოითხოვოს ეკონომიკური ოპერატორებისგან ახსნა-განმარტება წარმოდგენილი ტენდერების შინაარსთან დაკავშირებით.

დამკვეთს შეუძლია ტენდერში შეასწოროს:

ა) აშკარა ბეჭდური შეცდომები,

ბ) აშკარა გაანგარიშების შეცდომები, შეტანილი შესწორებების გაანგარიშების შედეგების გათვალისწინებით,

გ) სხვა შეცდომები, რომლებიც მოიცავს შეთავაზების შეუსაბამობას სატენდერო პირობებთან, რაც არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს შეთავაზების შინაარსში და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ეკონომიკურ ოპერატორს, რომლის შეთავაზებაც შესწორებულია.

17. ხელშეკრულების ნიმუშის ჩამოსატვირთად დააწკაპუნეთ აქ.

18. სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და თანასწორუფლებიან მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

19. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება პოლონეთის პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის 1გ პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 20, ბინა #3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებებით სარგებლობისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ

SFPL-ს საქართველოში პირდაპირ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.